

საქართველოს ვალდებულებები აფხაზეთში მოსახლე ადამიანების უფლებათა ჭრილში

ნინო ციხისტავი-ხუციშვილი, დოქტორანტი, კონფლიქტების ანალიზისა და მართვის
დეპარტამენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nina Tsikhistavi-Khutsishvili, PH.D Researcher, Department of Conflict Analysis and Management,
Faculty of Social and Political Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შესავალი

გადაადგილების თავისუფლების საკითხი გახლავთ წინამდებარე ნაშრომის
ხერხემალი, რომლის გარშემო საუბარი მექნება საქართველოს სეცესირებულ
ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა მდგომარეობაზე.

გადაადგილების თავისუფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც
მრავალმხრივია განმტკიცებული სამართლებრივი წყაროებით. კერძოდ, ის პირდაპირ
ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში, რომელმაც, თავის მხრივ, ასახა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით¹ გარანტირებული ადამიანის ფუნდამენტური უფლება.

ქართულ – აფხაზურ შეხვედრებზე², გადაადგილების თავისუფლება განხილულია, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა აფხაზური და ქართული საზოგადოებებისათვის. საკითხი უკვე მერამდენედ წარმოჩინდა, როგორც განსაკუთრებით მწვავე, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ განხილვას. აფხაზეთის არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ქართულ მხარესთან სხვადასხვა ფორმატში გამართული შეხვედრების დროს მუდმივად სვამენ აფხაზეთის იზოლაციის პოლიტიკის შეცვლის საკითხს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია აფხაზეთის პასპორტების აღიარება. როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, უზრუნველყონ ყველა შესაძლო მექანიზმის ამოქმედება გადაადგილების თავისუფლების უფლების განხორციელებისათვის ადგილებზე.

პრობლემის ამოსავალი წერტილი არის საქართველოს სახელმწიფოზე და დე-ფაქტო ხელისუფლებაზე დაკისრებული საერთაშორისო სამართლის ვალდებულებები და მათი ჯეროვანი შესრულება. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დებულებები და გაერო-ს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, ასევე, პრეცედენტული სამართლის პრაქტიკა მიმართულია იქეთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი იქნას მინიჭებული უფლებით სრულად სარგებლობა იმ პირებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, დე იურე ან დე ფაქტო.

¹ 1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მე-13 მუხლი;

1950 წ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, დამატებითი ოქმი #4, მუხლი 3, 3.

1966 წ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-12 მუხლი.

² ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა გაიმართა ევროსაბჭოს მიერ, სედეგები გამოქვეყნდა ევროსაბჭოს პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქართულ-აფხაზური შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტში, 2015.

საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა:

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირთა თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას³.

საქართველოს კანონმდებლობით თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად.

გარანტირებული გადაადგილების თავისუფლების საკითხი განვიხილოთ იერარქიულად: საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი იცავს პირის უფლებას, სახელმწიფო კონტროლისა და ნებართვის გარეშე, თავისუფლად გადაადგილდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე. თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ვრცელდება ნებისმიერ პირზე, და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, რაც დასტურდება ტერმინით - „ყველა“, რომელიც გამოყენებულია აღნიშნულ მუხლში.

კონსტიტუციიდან გამომდინარე, იკრძალება რაიმე განსხვავებული რეჟიმის დადგენა მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის.

ამ უფლებასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცულია როგორც პირის უფლება - სახელმწიფოს ნებართვის გარეშე დატოვოს თავისი საცხოვრებელი

³ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი: „1. ყველას ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ; 2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში; 3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“.

ადგილი და მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილი აირჩიოს, ისე დროებით საცხოვრებლად სხვა ადგილას გადავიდეს, მაგ. სოფელში, სხვა ქალაქში და სხვ.

ბუნებრივია, რომ პირს შეიძლება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს. კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს საქართველოში კანონიერად მყოფი ყველა პირისათვის ქვეყნის დატოვების უფლებას. ეს უფლება ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე სხვა სახელმწიფოს მფარველობაში მყოფ ნებისმიერ პირზე.

საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება არ ნიშნავს მის უფლებას, შევიდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც დატოვა საქართველოს ტერიტორია, შეიძლება არ მიეცეს სხვა სახელმწიფოში შესვლის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ ადგენს, რომ საქართველოს მოქალაქეს საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის უფლება აქვს.“

ამ კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს, რომ „საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოში, რისთვისაც ნებართვა არ სჭირდება“. ამ დებულების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს არ შეიძლება უარი ეთქვას საქართველოში შემოსვლაზე. საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლება უზრუნველყოფილია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის. შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება იმის გარანტია, რომ ისინი თავისუფლად შემოვიდნენ საქართველოში.

უცხოელების მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის დებულებები დაზუსტებულია კანონში „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (1993 წლის 3 ივნისი), რომელიც უცხოელად მიიჩნევს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს.

კანონი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში უცხოელთა სამართლებრივ სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, ადგენს, რომ უცხოელები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილებების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შესაძლებლობების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად.

საქართველოს კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც აისახა კონსტიტუციის 22-ე მუხლში, ზემოთქმული კანონის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, რომ უცხოელები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით.

ამასთან, კანონი ითვალისწინებს, რომ „უცხოელთა მიმოსვლა და მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევა საქართველოში შეიძლება შეიზღუდოს, როცა ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად“.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცული უფლებების დარღვევისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით,

საქართველოში კანონიერად მყოფისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრეელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ექვს თვემდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ერთ წლამდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე⁴.

გადაადგილების თავისუფლების განხორციელების საშუალება: პასპორტი და პირადობის დოკუმენტი

გადაადგილებისთვის აუცილებელი დოკუმენტებია პასპორტი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საერთაშორისო თანამეგობრობას, კერძოდ, გაერო-ს, ბუნებრივია, აქვს სურვილი, შეისწავლოს, თუ რა ტიპის სამგზავრო დოკუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენს სპეციფიკურ შემთხვევაში, რადგან ამ ეტაპზე, გარდა რუსეთის ფედერაციისა, აფხაზეთში მცხოვრებ პირთა მოგზაურობა სერიოზულადაა შეზღუდული და უფრო ხშირ შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია. აფხაზეთში მცხოვრებ პირთა მოგზაურობა უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ რუსული პასპორტის შეძენით ხდება შესაძლებელი.

⁴ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ.; - ISBN 99940-0-877-3

ასეთ მდგომარეობას, თუ გაჭიანურებული იქნება, სწრაფად მოჰყვება აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირთა იზოლაციის გაუარესება და, შესაბამისად, უარყოფითი შედეგები მთელი რეგიონისთვის.

პასპორტების ან სხვა პირადობის დამადასტურებელი, ან სამგზავრო დოკუმენტების გაცემის კომპეტენცია, ხშირად გაურკვეველია პოსტ-კონფლიქტური სიტუაციისას მიუხედავად იმისა, შეიარაღებული კონფლიქტი საერთაშორისოა თუ შიდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ტერიტორიული დავები წარმოიქმნება.

ასეთი კონფლიქტების შემთხვევაში, მესამე ქვეყნებისთვის ჩნდება ეჭვი ახალი (პოსტ-კონფლიქტური) ტერიტორიული ორგანოს მიერ წარდგენილი სამოგზავრო დოკუმენტების მიმართ, მით უფრო, თუ ლეგიტიმური მთავრობა კონფლიქტის შედეგად არ ახდენს ამ დოკუმენტების ლეგიტიმაციას.

ამასთან, ყოფილი ხელისუფლების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტების მოქმედების (ვადა) საკითხი შეიძლება ასევე დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, მით უფრო, თუ ყოფილ ხელისუფლებას აღარ აქვს დე ფაქტო კონტროლი ტერიტორიის ნაწილზე, რომელზეც აცხადებს, რომ მისი იურისდიქციის ქვეშაა.

მესამე ქვეყნები ერიდებიან, რომ სამგზავრო დოკუმენტების მიღება შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც არანეიტრალური ქცევა კონფლიქტის ერთი ან მეორე მხარის სასარგებლოდ, რომელთა წინაშეა ტერიტორიული დავა. მათ არ შეუძლიათ ასეთ დავაში განახორციელონ ჩარევა ამ ფორმით.

ასეთ ვითარებაში, სუბიექტების იდენტიფიკაცია განსაკუთრებით რთულია მით უფრო, როდესაც არსებობს ვალდებულება თავისუფალი გადაადგილების უფლების უზრუნველყოფის შესახებ. ცხადია, რომ სამგზავრო საბუთით პირის

იდენტიფიკაციის ფორმალური პროცესი უკავშირდება ტერიტორიული დავების კონფლიქტში მონაწილე სუბიექტების სტატუსს.

ასეთ მდგომარეობაში მრავალი გაურკვევლობა წარმოიშვება და საზიანოდ იმოქმედებს პოსტ-კონფლიქტურ, სადავო ტერიტორიებზე მცხოვრები პირების მესამე ქვეყნებში გადაადგილების თავისუფლების უფლებაზე. ფაქტობრივად, ამ პირებს აღარ ეძლევათ უფლება დატოვონ სამშობლო, ისევე, როგორც დაბრუნდნენ სამშობლოში. რეგიონის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ტერიტორიის სეცესიის შედეგად, ადამიანებს ჩამოერთმევათ უფლება, თავისუფლად გადაადგილდნენ, იქნება ეს მათი წარმოშობის ადგილი ან მნიშვნელოვანი პირადი ეკონომიკური ინტერესის მქონე სხვა ადგილი, სადაც გადაადგილების შემთხვევაში შეიძლება ისარგებლონ საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად.

იმავედროულად, მოსახლეობის სასარგებლოდ ეფექტიანი მოქმედებების განხორციელება ვერ გადავადდება მანამ, სანამ ტერიტორიული დავის გადაწყვეტა არის მიღწეული, რადგან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვები აბრკოლებს ოჯახურ კავშირებს, რელიგიურ პრაქტიკას, სამედიცინო მომსახურების მიღებას და, კეთილდღეობის მომსახურების სარგებელს, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის შეუძლებლობას.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მივიღოთ აღნიშნულ პრობლემათა რაიმე მისაღები გადაწყვეტა, ადამიანის ინდივიდუალურ უფლებათა დაცვა უნდა გავაცალკევოთ ტერიტორიული დავებისაგან და ნებისმიერი სხვა დაკავშირებული საკითხებისგან, რომ განხორციელდეს კონფლიქტში მონაწილე საქართველოს სუვერენული ძალაუფლება.

ეს შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულებების ქვეშ, როდესაც სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს თავისუფალი გადაადგილების უფლება იმ

ერთეულის (სეცესირებული) ფაქტობრივი ვალდებულების ფარგლებში, რომელიც ჩართულია ტერიტორიულ დავებში, მიუხედავად მისი სუვერენიტეტის მოთხოვნის კანონიერება/უკანონობისა საერთაშორისო ურთიერთობებში.

ფაქტობრივი ტერიტორიული, სუბიექტური და მატერიალური ვალდებულებების ფარგლები განმტკიცებულია ორ საერთაშორისო ინსტრუმენტში, რომელიც არ შეიძლება იქნეს გადახედილი, რადგან საქართველოს არ გააჩნია სეცესირებულ ტერიტორიებზე კონტროლი, მაგრამ აცხადებს, რომ მისი იურისდიქციის ქვეშაა, ამიტომ ვერ მოხდება მისი (საქართველოს) საერთაშორისო ფაქტობრივი ვალდებულებების გადახედვა.

რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფაქტობრივი გარემოება, მაგრამ, იმავდროულად, უნდა შეფასდეს საქართველოს ვალდებულებებისა და შესაბამისი სავალდებულო ზომების მიღების ეფექტიანობა.

საქართველო აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთარი სახელისუფლო ძალის ეფექტიანი განხორციელები არარსებობის გამო ვერ უზრუნველყოფს გადაადგილების თავისუფლებას. ე.ი. ვერ უზრუნველყოფს პასპორტების გაცემას იმ ადამიანთა სასარგებლოდ, ვინც ცხოვრობს სეცესირებულ ტერიტორიებზე იმის გამო, რომ ადგილობრივი ხელისუფლება აფხაზეთში ყველა ღონით ცდილობს, წინ აღუდგეს ნებისმიერ ქმედებას ან გეგმას საქართველოს ხელისუფლებისა, უზრუნველყოს მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება. შედეგად, იქმნება ძალიან რთული და არაეფექტური მდგომარეობა მოსახლეობისათვის და, საკუთრივ სახელმწიფოსთვის.

რა სახის სამართლებრივი და დიპლომატიური ზომები უნდა მიიღოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა, რომ შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები?

საერთაშორისო სამართლის ერთხმად მიღებული ბუნებაა, რომ ორივე ვალდებულების ქვეშ – საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, (ICCPR) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები. გაერო–ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის (HRC) მიერ სპეციალურად განსაზღვრულია მითითება, რომ ასეთი ვალდებულებების შესრულება შეიძლება მოითხოვდეს საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც უნდა იყოს განსაზღვრული საქმის გარემოებათა შესაბამისი მდგომარეობით⁵. კომიტეტმა აგრეთვე მინიშნება გააკეთა "სხვა შესაბამის ზომებზე" (ibidem) რომელიც გულისხმობს, რომ, როდესაც გამოიყენება ჩვეულებრივი საშუალებები, რომ სახელმწიფომ შეასრულოს ვალდებულება, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს იმ უფლებების დარღვევა, რომლებიც განმტკიცებულია პაქტით (CCPR), სახელმწიფომ უნდა მიიღოს ნებისმიერი სხვა ზომა, რათა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახადოს იმ უფლებების ეფექტიანად უზრუნველყოფა.

ფაქტობრივად, ერთი მხრივ, საერთაშორისო პაქტი (ICCPR) აძლევს სახელმწიფოს საშუალებას, თავისუფლად აირჩიოს გასატარებელი ზომები, რათა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობა ეფექტიანი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ, მოითხოვს, რომ არჩეული ზომები საკმარისი და შესაბამისია შედეგის მისაღწევად.

კონკრეტულ შემთხვევაში, გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით, ნაკისრ ვალდებულებათა ბუნება პაქტის (ICCPR) ქვეშ, ნათლადაა ფორმულირებული ზოგადი კომენტარით⁶. შესაბამისად, "ადამიანის უფლება, დატოვოს ქვეყანა, უნდა

⁵ ზოგადი კომენტარი n. 31, CCPR / C / 21 / Rev.1 / Add.13, par. 7

⁶ ზოგადი კომენტარი, № 29 (CCPR / C / 21 / Rev.1 / Add.9, par. 9

მოიცავდეს შესაბამისი საბუთების მიღების უფლებას“. ეს პირველ რიგში, ნიშნავს, რომ ისეთი სამგზავრო დოკუმენტების გაცემით არ იწურება სახელმწიფოს ვალდებულება, მეორე ის, რომ ასეთი დოკუმენტები, არ არის აუცილებლად პასპორტები, თუმცა პასპორტები თავისთავად საერთაშორისო მოგზაურობის საჭირო დოკუმენტაციაა – რაზეც მიუთითებს კომენტარში, რომელზეც შენიშვნაში ასევე აღნიშნავს.

იმისათვის, რომ საქართველოს სახელმწიფომ უზრუნველყოს გადაადგილების თავისუფლების უფლება, ჩვეულებრივი საშუალებები – პასპორტების გაცემა იმ პირებზე, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, დიდწილად არასაკმარისია და არაეფექტიანია იმისთვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ამ შემთხვევაში არაეფექტიანობა გამოწვეულია არა მხოლოდ საქართველოს ქმედებით, არამედ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, როგორც ამ საკითხში არსებული სუბიექტთა ქმედებებითაც.

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, დგანან იმ მდგომარეობაში, რომ ან უნდა შეინარჩუნონ ძველი, ან ითხოვონ ახალი ქართული პასპორტი. ხოლო საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისა და აფხაზეთის გამყოფი ადმინისტრაციული საზღვარი, როგორც ფაქტი, ავალდებულებს საქართველოს, რომ დააწესოს და მიიღოს სხვადასხვა ზომა, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულება, უზრუნველყოს გადაადგილების თავისუფლების უფლება, მით უფრო, რომ არსად არ სახელდება ამ ვალდებულების შესრულებისაგან სახელმწიფოს გათავისუფლება.

საქართველომ თავიდან უნდა აიცილოს მდგომარეობა, როდესაც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აუღიარებლობით ზიანი ადგებათ და იზღუდებიან

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე.

საქართველოს ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, სულ მცირე ორ კონკრეტულ ვალდებულებას მოიცავს მოცემულ შემთხვევაში:

- რადგან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული დოკუმენტების აღიარება შეუძლებელია, ისინი ცნობად უნდა მიიღოს საქართველომ იმ უბრალო საფუძვლით, რომ მიაღწიოს უფრო მაღალ მიზანს, ხელი შეუწყოს ადამიანთა თავისუფალ მიმოქცევას იმ ტერიტორიის გავლით, რომლებზეც საქართველო ამტკიცებს, რომ მისი იურისდიქცია ვრცელდება და, ამით ხელი შეუწყოს ადამიანის უფლების განხორციელებას (დატოვოს და უკან დაბრუნდეს ტერიტორიაზე იმ საბუთით, რომელიც იქნება პირის ვინაობის დამადასტურებელი სერტიფიკატი). ასეთი დოკუმენტის ცნობად მიღება (და არა აღიარება), რა თქმა უნდა, არ შეფასდება, როგორც სახელმწიფოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის სასარგებლოდაც ის გაცემულია.

- რაც შეეხება უპირატესობას, საქართველო, თავისუფალია, არ აღიაროს აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, მაგრამ ვერ იტყვის უარს, რომ აწარმოოს მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან, რომელიც ახორციელებს დე-ფაქტო მთავრობის უფლებამოსილებას აფხაზეთის ტერიტორიაზე და, მაშასადამე, ერთობლივად უნდა გაატარონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყონ გადაადგილების თავისუფლების ეფექტიანი სარგებლობა იმ პირებისთვის, რომლებზეც საქართველო აცხადებს, რომ მისი იურისდიქციის ქვეშა არიან.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება, ამტკიცებს რა მისი გამოყოფის ლეგიტიმურობას, როგორც შედეგს, და აცხადებს, რომ გეგმავს, გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, უნდა განაცხადოს მზადყოფნა, პასუხისმგებლობა

აიღოს აქედან გამომდინარე ყველა შედეგზე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მათ შორის ნებისმიერ ვალდებულებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აფხაზეთი არ არის ხელშემკვერელი მხარე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR). აუცილებელია, დადგინდეს, არის თუ არა აფხაზეთი ვალდებული, დაიცვას მითითებულ ხელშეკრულებათა მიერ განმტკიცებული გადაადგილების თავისუფლება, რათა უზრუნველყოს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების უფლება.

იმ ფონზე, რომ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას აქვს სუვერენიტეტის პრეტენზია, თავად უნდა განიხილოს, როგორც მისი ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) და საერთაშორისო პაქტი სოციალური და პოლიტიკური უფლებების (ICCPR) ქვეშ.

აფხაზეთი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში, მიუხედავად ნებისმიერი სტატუსისა, თუ აცხადებს, რომ უნდა, რომ იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღიარებს საკუთარ თავს, როგორც ვალდებულს, ჩვეულებითი წესით უზრუნველყოს ადამიანის უფლება – დატოვოს და დაბრუნდეს სამშობლოში (გადაადგილების თავისუფლება).

დღევანდელი პრობლემის ჰუმანიტარული და პოლიტიკური ნაწილი

აფხაზეთის იზოლაცია, შესაძლოა, კიდევ უფრო გამძლიერდეს. სოხუმში ხშირად აცხადებენ, რომ მათი იზოლაცია ხელს უწყობს კიდევ უფრო მეტ დაახლოებას რუსეთთან. ამ მიმართულებით საჭიროა, სერიოზული ცვლილებები

განხორციელდეს საქართველოს მთავრობის პოლიტიკაში, რომ აფხაზეთის რუსეთთან ინტეგრაცია შეჩერდეს⁷.

საქართველოს ხელისუფლება აცხადებს⁸, რომ მათი გადაადგილებისთვის არ არის საჭირო აფხაზეთის პასპორტების აღიარება, რადგან პასპორტის აღიარება ნიშნავს, რომ საქართველო აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

დრეისათვის ე.წ. აფხაზური, ისე როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის პასპორტი, შეიძლება იყოს გამოყენებული სულ ცოტა ორი მიმართულებით: ნეიტრალური პასპორტის ასაღებად (საქართველოს სახელმწიფო დოკუმენტი რომ აიღო, აუცილებლად უნდა გქონდეს ე.წ. აფხაზური ან სამხრეთ ოსეთის პასპორტი) და ჯანდაცვის რეფერალური პროგრამით სარგებლებისთვის. აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირი, თუ ის წარადგენს მის აფხაზურ თუ სამხრეთ ოსურ პასპორტს, საქართველო ამ დოკუმენტებს ვალიდურად ცნობს (აღიარების გარეშე) ჯანდაცვის პროგრამაში წარმდგენი მოქალაქის მონაწილეობისთვის. ნათელია, რომ ეს პროცესი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მათი გადაადგილება საზღვარგარეთ, საერთაშორისო მგზავრობისთვის შესაძლებელია.

ფაქტობრივად, ამ საკითხის განხილვისას ერთმანეთს ფარავს წმინდა ადამიანის უფლებები საკითხი, ჰუმანიტარული საკითხი და პოლიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ საშუალება, საერთაშორისო მგზავრობისთვის გამოიყენონ საქართველოს პასპორტი, ძალიან მწირია (თითქმის 1 %) იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ამ გზას ირჩევს და იღებს საქართველოს პასპორტს. მეორე შეთავაზებული გზა არის ე.წ. ნეიტრალური პასპორტები, რომელიც მხოლოდ

⁷ პაატა ზაქარეიშვილი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2016 წ-მდე.; 'აფხაზების შანსია რუსეთი ან ევროპა საქართველოს საშუალებით', ინტერვიუ, მათა მეცხვარიშვილი, ნეტგაზეთი, 28.07.2014

⁸ ibid.

10-მდე სახელმწიფომ აღიარა, ამიტომ მისი გამოყენების არეალი შეზღუდულია. მესამე გზა, რომელსაც მიმართავენ აფხაზები და ოსები, არის რუსეთის მოქალაქეობის მიღება. ისინი რუსეთის ტერიტორიაზე იღებენ რუსეთის ლეგიტიმურ პასპორტებს, ხდებიან რუსეთის მოქალაქეები და გადაადგილდებიან, როგორც რუსეთის მოქალაქეები. თუმცა, რუსეთის დუმის მიერ მიღებული კანონი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ფიქტიური რეგისტრაციისთვის⁹, მოსალოდნელია აფხაზების და ოსების იზოლაციის გაძლიერება, რადგან რუსეთის პასპორტის მისაღებად სწორედ ფიქტიურად რეგისტრაციის (საცხოვრებელი ადგილის ჩანწერის) გზას იყენებდნენ აღნიშნული კანონის მიღებამდე.

არის მეოთხე გზა, რომელიც აქტიურად გამოიყენება აფხაზეთში, ეს გახლავთ სოხუმში გაცემული რუსული პასპორტები. რუსეთმა ამ გზით განახორციელა უკანონო რუსული პასპორტების გაცემა, ანუ დაიწყო ყალბი, არასრული ატრიბუტიკის მქონე პასპორტების გაცემა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ პასპორტებით მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზეა გადაადგილება შესაძლებელი და არა რუსეთის საზღვარს გარეთ.

სეცესირებული რეგიონის მცხოვრები მოსახლეობა პრინციპულად აცხადებს უარს, ისარგებლონ საქართველოს მოქალაქის პასპორტით და/ან იგივე, ნეიტრალური დოკუმენტით, რომელშიც გამოყენებულია GE სიმბოლო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს გვაქვს მდგომარეობა, როცა რუსეთმა საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად სეცესირებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები მოაქცია ჩიხში, ხოლო საქართველოს ხელისუფლება მათ

⁹ 21 декабря 2013 года принят Федеральный закон № 376-ФЗ «О внесении изменений в отдельные законодательные акты Российской Федерации», который вступил в силу 3 января 2014 года. Данным законом введены новые понятия уголовно-наказуемых деяний: «фиктивная регистрация» и «фиктивная постановка на учет». https://23.mvd.ru/fictitious_registration

სთავაზობს, რომ გადაადგილების თავისუფლების რეალიზაციისათვის აფხაზეთმა და ოსებმა გააკეთონ არჩევანი: ან საქართველოს პასპორტი, ან ამ უფლების შეზღუდვა.

საქართველოს მთავრობის მხრიდან რაიმე ახლის შეთავაზება სამგზავრო დოკუმენტებთან მიმართებაში არ ხდება აფხაზეთის და ასევე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის. არსებობს 4 ალტერნატიული გზა და მათ უნდა გააკეთონ საკუთარი არჩევანი. ფაქტობრივად, ისე გამოდის, რომ ყველა მხარე შეთანხმებულია შეფასებაში, რომ არსებული 4 გზა საკმარისია აღნიშნული თავისუფლების რეალიზაციისათვის.

2014 წლიდან გაჩნდა ახალი იმედი, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა¹⁰ მეტ საშუალებას მოუტანდა სეცესირებულ რეგიონებში მობინადრეებს. თუმცა, ვიზა-ლიბერალიზაციის¹¹ საკითხი ამ ეტაპზე წარმატებით არ დაგვირგვინდა და, ის იმედი, რომ მოლდოვას პრეცედენტი გამეორდებოდა საქართველოში. საუბარია მოლდოვას პასპორტების აღების ძალიან მაღალ პროცენტულ მაჩვენებელზე, რომელიც დაფიქსირდა მოლდოვას სეცესირებულ ტერიტორიაზე (დნესტრისპირეთში) ვიზა-ლიბერალიზაციის შემდეგ. თუმცა, წინმსწრებად, ვიზა-ლიბერალიზაციის შედეგად მისაღებ გადაადგილების თავისუფლებას საქართველოს ხელისუფლება აფასებდა როგორც 'მეხუთე ვარიანტს' სეცესირებული ტერიტორიების მობინადრეთათვის საერთო 4 არსებული გზის არჩევანში.

იმავდროულად, საქართველოში მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესებთან კვალდაკვალ აფხაზეთში საუბრობდნენ, რომ მათ არ სურთ საქართველოს გავლით

¹⁰ EU-Georgia Association Agreement
http://europa.eu/rapid/press-release_IP-16-2369_en.htm

¹¹ Eastern Partnership Summit, Riga, 21-22/05/2015

The EU Commission published its annual visa report, said the commission was "aware" Georgia and Ukraine had expressed a desire for visa-free status at the summit, but this was "very ambitious in terms of timing". The commission's report stated both Ukraine and Georgia need to do more to implement legislation in areas like anticorruption and human-trafficking; 'Georgia was urged to do more to tackle the trafficking of drugs'.

ევროპასთან ინტეგრაცია და აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დამოუკიდებლად არ მიეცემათ დასავლეთთან ინტეგრაციის შესაძლებლობა, მაშინ ეს მოხდება რუსეთის გავლით.

ჰუმანიტარული საკითხების განხილვისას, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას გადაადგილების თავისუფლების – როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების კონცეფტუალურ მხარეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გადაადგილების საკითხს უკავშირდება განათლების მიღება (მაგ. ევროპაში ან სხვაგან), ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვა.

პასპორტები აფხაზეთში:

ადამიანის უფლებათა კუთხით მდგომარეობის მიმოხილვისას განსაკუთრებული აღნიშვნის საგანია გალის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობა. ბოლო 2 წლის განმავლობაში (2014 წლის გაზაფხულიდან) მათი პასპორტები უკანონოდ ცნეს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ, ეს ნიშნავს, რომ ისინი ვერ მიიღებენ ე.წ. არჩევნებში მონაწილეობას, ვერ მიიღებენ პენსიას და, განსაკუთრებით კი, აღსანიშნავია, რომ ამით მათ შეეზღუდებათ ადამიანის ფუნდამენტური უფლება–საკუთრების უფლება.

გალის რაიონში ცხოვრობს დაახლოებით 60 ათასი ადამიანი. აფხაზეთის ხელისუფლების მიერ 2011 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, აფხაზეთში 46 000–ზე მეტი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, ძირითადად გალის რაიონში, რაც სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობის 19%–ზე მეტს შეადგენს.

ეთნიკურად ქართველ მოზინადრეთაგან გალში მხოლოდ 26 ათას პასპორტს შეეხო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ პროცესი გრძელდება, და საკანონმდებლო დონეზეც აფხაზეთში არავითარი ცვლილება ამ მიმართულებით დაგეგმილი არ არის.

დე-ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლებამ რეგიონის ეთნიკური ქართველი მაცხოვრებლებისთვის აფხაური პასპორტების გაცემა შეაჩერა იმის შიშით, რომ ამ პროცესს (როგორც აფხაზეთის ზოგიერთი თანამდებობის პირი აცხადებს), შესაძლოა „აფხაზეთის ქართველიზაცია“ მოყვეს.¹²

მაგრამ, ამასთან ერთდ, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ საფუძველი, რის გამოც მიღებული იყო ასეთი გადაწყვეტილება.

ეს საფუძველი გახლავთ აფხაზეთის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი აფხაზეთის მოქალაქეობაზე, რომელიც განისაზღვრა ეთნიკური პრინციპით (ეროვნებით აფხაზს ენიჭება მოქალაქეობა) და, მოქალაქეს აქვს მხოლოდ უძრავი ქონების უფლება აფხაზეთში.

"[1999-2000 წწ თვითგამოცხადებულ აფხაზეთში] ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს შევთავაზე შევარდნაძეს, რომ დაგვეშვა საერთაშორისო პასპორტები აფხაზეთში, რათა ხალხს საზღვარგარეთ გასვლის შესაძლებლობა მისცემოდა... მე გავაფრთხილე იგი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ [აფხაზები] რუსეთის მოქალაქეები გავხდებოდით. თუმცა მან უარი თქვა ჩემს შეთავაზებაზე. ქართველებმა მხარი არ დაუჭირეს ჩვენს ინიციატივას არც გაეროს პასპორტების თაობაზე, შედეგად კი ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ [რუსეთის სასარგებლოდ] და ვფიქრობ, რომ ეს სწორი არჩევანი იყო", განაცხადა სერგეი ბაღაფშმა.¹³

თვითგამოცხადებულ აფხაზეთში 2005 წლის 24 ოქტომბერს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, აფხაზეთის მოქალაქედ ითვლება ყველა ეთნიკური აფხაზი და ყველა ის პირი, რომელიც 1999 წლის 12 ოქტომბრის ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის

¹² <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26879>

¹³ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=8734> თბილისი / 29 იან.'05

მიღების შემდეგ არანაკლებ 5 წლისა მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთში. ეს დებულება მიზნად ისახავს სამართლებრივი ბარიერის შექმნას იმ ეთნიკური ქართველების მიერ აფხაზეთი პასპორტების მიღებაში, რომელთაც აფხაზეთი 1992–1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ დატოვეს და რომლებიც შემდეგ გალის რაიონში დაბრუნდნენ. გარდა ამისა, სეპარატისტული აფხაზეთის მოქალაქეს შეუძლია ერთდროულად იყოს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ხოლო აფხაზეთის მოქალაქეობიდან გასვლის შემთხვევაში, მას უფლება აქვს გახდეს მხოლოდ რუსეთის მოქალაქე¹⁴.

კანონის მიხედვით, აფხაზეთი პასპორტის მიღების უფლება აქვთ მათ, ვინც სახელმწიფო სუვერენიტეტის აქტის მიღებამდე ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებები 1993 წლის სექტემბერში შეწყდა, ეს აქტი მხოლოდ 1999 წლის ოქტომბერში მიიღეს. ამგვარად, ამ კანონის მიხედვით, აფხაზეთი პასპორტის მიღების შესაძლებლობა მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ, ვინც ომის შემდეგ მუდმივად აფხაზეთში ცხოვრობს. შესაბამისად, ამ უფლებას მოკლებულია თითქმის ყველა, ვინც ომის დროს ან შემდეგ დატოვა აფხაზეთი.

2005 წელს თვითგამოცხადებული აფხაზეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ძალისხმევით გაზაფხულიდან აფხაზეთის მოსახლეობაზე აფხაზეთი პასპორტების გაცემა დაიწყო.

ამ დრომდე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მაცხოვრებლები ე.წ. N9 მოწმობებით, საბჭოთა კავშირის დროინდელი და რუსეთის პასპორტებით სარგებლობდნენ. თბილისმა არაერთხელ გამოხატა პროტესტი რუსეთის პოლიტიკის მიმართ, რომლის შედეგადაც აფხაზეთს რუსეთის მოქალაქეობა ენიჭებოდათ. ბაღაფშის განცხადებით, აფხაზეთი პასპორტების გაცემის შემდგომაც

¹⁴ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26879>

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძალაში დარჩებოდა რუსული პასპორტები.

2009 წლიდან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთში ახალი პასპორტები დაარიგა. გრაფაში - დაბადების ადგილი აფხაზეთი იქნა მითითებული. აქამდე რუსეთის მიერ გაცემულ პასპორტებში საქართველო ან საბჭოთა საქართველო იყო მითითებული¹⁵.

რაც შეეხება რუსულ პასპორტს, რომელსაც აფხაზეთის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს, იგი არასრულფასოვანი დოკუმენტია. ეს არის საზღვარგარეთის პასპორტი "საზღვარგარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის". აღნიშნული პასპორტი ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც აფხაზეთის მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთის უფლებას აძლევს. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ამ პასპორტს თითქმის არანაირი ძალა არა აქვს, რადგან მასში არ არის რუსეთის ფედერაციაში ჩაწერის გრაფა.

არსებობს მოსაზრებაც, რომ რუსეთი თავის პასპორტებს აღარ გასცემს აფხაზეთზე 2008 წლის შემდეგ, რადგან აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. 2008 წლამდე სოხუმში იყო გახსნილი პუნქტები, სადაც სამ დღეში შეგეძლო მიგელო რუსეთის პასპორტი, ასეთი პუნქტები ახლა დაკეტილია და რუსეთის მოქალაქეობის მიღება შეუძლებელია. მათ ამით დაეკარგათ შესაძლებლობა იმის, რომ დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია, ეს შესაძლებლობა დაეკარგათ იმათაც კი, ვისაც აქვთ რუსული პასპორტი, იმიტომ, რომ რუსულ პასპორტში სავალდებულოა საცხოვრებელი ადგილის დაფიქსირება. აფხაზეთში ახალგაზრდებს აქვთ მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ სასწავლებლად წავიდნენ რუსეთში¹⁶.

¹⁵ <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/100169/> 2009, ლიბერალი

¹⁶ რა უნდათ დღეს აფხაზეთს, მარგარიტა ახვლედიანი, ნეტგაზეთი, 2013, <http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/20953/>

I. დასკვნა

უამრავია ფორმით მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, ვინ, როდის, რა მოტივით გასცა აფხაზეთის მაცხოვრებლებზე აფხაზური და რუსული პასპორტები. დღეს-დღეობით სახეზე გვაქვს სამი პასპორტი: აფხაზური შიდა (მწვანე), აფხაზური საერთაშორისო (ლურჯი) და რუსული კვაზი (წითელი) პასპორტები, რომლებითაც აფხაზეთის წამომადგენელი მაინც ვერ გადაადგილდება თავისუფლად, გარდა საქართველოსი და რუსეთის ფედერაციისა. კვაზია რუსული პასპორტი, რადგან, ის სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტულ ატრიბუტიკასთან არ არის ჰარმონიზირებული. ის, რაც საერთაშორისო სტრანდარტითაა დადგენილი – აფხაზეთისთვის შევსებული არ არის. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეც ამ პასპორტს თითქმის არანაირი ძალა არა აქვს, რადგან მასში არ არის რუსეთის ფედერაციაში ჩაწერის გრაფა. მხოლოდ მის ტერიტორიაზე გადაადგილებისთვისაა საკმარისი, ამიტომ ის კვაზი რუსული პასპორტია, რომლითაც მხოლოდ პოლიტიკურ დივიდენდებს იწერს რუსეთი აფხაზეთის თვალში. გავრცელებული ანალიზით რუსეთი სანაცვლოდ ელოდება ქონებრივი უფლებების მინიჭების კანონიერ საშუალებებს რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში. ჩვენთვის ყველასთვის სამწუხაროდ, გამოვიდა, რომ აფხაზს გადაადგილების საშუალება მიეცა მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში. ამასთან, სავარაუდოა, რომ რუსეთის მიზანს წარმოადგენს არა აფხაზი ადამიანის კეთილდღეობა და გადაადგილების საშუალების შექმნა, რომ მათი უფლება არ დაირღვეს. მისი მიზანია, მცირე ფანჯრის გახსნა, რომ ‘აფხაზეთის უკეთესი ცხოვრებისაკენ’, და, უარი თქვან ბოლოს და ბოლოს საკუთარ მიზანზე, საკუთარ იგივეობაზე, დამოუკიდებლობაზე და, თავის ხელით გააუქმონ აფხაზეთის მოქალაქეობის საკითხის ბმა ქონებრივ საკითხთან. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როდესაც შეზღუდვა გადაადგილების თავისუფლებაზე ათწლეულების მანძილზე

გრძელდება, რაციონალურ ქცევას არ უნდა მოელოდე მთელი ერისაგან. ამიტომ, მაღალი რისკი არსებობს იმისა, რომ:

1. აფხაზები ვერ გაუმკლავდებიან შიგნით მიმდინარე რთულ პროცესებს:

1.1. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი განვითარების შესაძლებლობას ვერ ხედავს და არც აქვს. განათლება, დასაქმება, სხვისი გამოცდილების გაზიარება – ეს ყველაფერი გართულებული და თითქმის შეუძლებელია აფხაზეთში არსებული მდგომარეობის გამო. დიდი რაოდენობით ახალგაზრდობა უპერსპექტივობის გამო, ხდება მაღალი რისკის ჯგუფი ნარკოტიკული, ალკოჰოლური და სხვა მავნე საშუალებებზე დემოკიდებულებისთვის.

1.2. ამასთან, სეპარატიზმისთვის მებრძოლი თაობა ნელ-ნელა შორდება და მიდის რეალპოლიტიკიდან. ჩნდება ვაკუუმი და რეალური საშიშროება, მალე დასთმონ საკუთრების საკითხები (თუნდაც ნაწილობრივ) და, ამით, დაინტერესებულ რუსეთს მისცენ საფუძველი შეიერთოს აფხაზეთი, რის შედეგად რუსეთი აღმოჩნდება პირდაპირი მხარე უკვე ენგურს იქეთ.

2. აფხაზეთისთვის ამ რთული და, თითქოს, გამოუვალი მდგომარეობის გამო:

2.1. აფხაზეთში ქართველებთან მიმართებაში კიდევ დიდხანს არ მომუშდება 90–იანი წლების ტრამვა. ეს მდგომარეობა იმას ჰგავს, ღრმა ჰრილობაში რომ მარილი ვაყაროთ და თან ემპათიით შევუბეროთ, რომ არ დაეწვას;

2.2. აფხაზს კიდევ უფრო შესძულდება ქართველი და მეტად დაუახლოვდება რუსეთს, რადგან მისთვის უკვე გადარჩენაა მთავარი – გეტოდან თავის დაღწევის იმედით (თუმცა, საბოლოოდ, აფხაზეთის რუსეთთან შეერთება გამოიწვევს მათ კიდევ უფრო დიდ გეტოში მოქცევას).

დღევანდელი ჩემი ნაშრომის ბოლოსტყვად კი მომყავს იგივე რეკომენდაცია, რაც შევთავაზე ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე როგორც ევროპის საბჭოს, ასევე აფხაზ წარმომადგენლებს, რომ, ერთად უნდა მოვახერხოთ არსებული მტკივნეული საკითხის გამოსწორება. ცალსახაა, რომ მათი გადაადგილების უფლება ირღვევა და მათი უფლების განხორციელება საქართველოს ვალდებულებაა. საქართველოა ვალდებული, ყველა ზომას მიმართოს, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა მანამ, სანამ არ მოხდება გადაადგილების თავისუფლების რეალიზაცია აფხაზებისა და ოსებისათვის. სულ 2 გზა იქნა ჩემ მიერ შეთავაზებული აფხაზებისთვის და ერთი – ევროპის საბჭოსთვის. აქ მოვიყვან ერთ რეკომენდაციას:

- შეიქმნას ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებზე ერთად იმუშავებს;
 - აფხაზურ და ქართულ მხარეზე ცალ-ცალკე უნდა შეირჩეს რამოდენიმე ადამიანი, ვისაც საზოგადოებისგან მაღალი ნდობა ექნება;
 - ორივე ჯგუფს ცალ-ცალკე ადგილობრივმა ხელისუფლებებმა ოფიციალურად უნდა გამოუცხადონ ნდობა, განუსაზღვრონ ერთჯერადი მანდატი მხოლოდ ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად და მისცენ ოფიციალურად გაწერილი უფლებამოსილება;
 - განსაზღვრული დროის განმავლობაში სამუშაო გაერთიანებული ჯგუფი საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვირვებითა და თანამომხმარებლობით მანდატით განსაზღვრულ პირობებში (ადგილი, დრო, საკითხთა ჩამონათვალი, დღის წესრიგი და სხვა) იმუშავებს, სანამ არ იქნება მდებელი შეთანხმება;
 - შეთანხმებას აღასრულებს ამ სამუშაო ჯგუფისაგან შექმნილი შიდა აღმასრულებელი რგოლი სარეთაშორისო საზოგადოების დახმარებით.
- შედეგად, ადამიანები მიიღებენ გადაადგილების საშუალებას მხოლოდ, და არა რაიმე პოლიტიკურ აღიარებას, რაც იმთავითვე იქნება გამიჯნული და ხაზგასმული ნდობის ჯგუფის დოკუმენტში.

იმედი მაქვს, საქართველო ნელ-ნელა აუცილებლად დაინახავს მიღებულ საპასუხო პოზიტიურ და შემხვედრ ნაბიჯებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,
2. 1950 წ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, დამატებითი ოქმი #4,
3. 1966 წ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,
4. მისი, 2015, ლა გრანხა, სეგოვია, ესპანეთი, 2015. ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის ორგანიზებული ქართულ-აფხაზური შეხვედრა.
5. ევროპის საბჭოს პოლიტიკური უსაფრთხოების დირექტორიატი, პოსტ-კონფლიქტური პროგრამის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი, აპრილი, 2015.
6. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ.; - ISBN 99940-0-877-3
7. ზოგადი კომენტარი n. 31, CCPR / C / 21 / Rev.1 / Add.13, 1966 წ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,
8. პაატა ზაქარეიშვილი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი 2012 წლის 25 ოქტომბრიდან; 'აფხაზების შანსია რუსეთი ან ევროპა საქართველოს საშუალებით', ინტერვიუ, მაია მეცხვარიშვილი, ნეტგაზეთი, 28.07.2014
9. 21 декабря 2013 года принят Федеральный закон № 376-ФЗ «О внесении изменений в отдельные законодательные акты Российской Федерации», который вступил в силу 3 января 2014 года. Данным законом введены новые понятия уголовно-наказуемых деяний: «фиктивная регистрация» и «фиктивная постановка на учет». https://23.mvd.ru/fictitious_registration
10. EU-Georgia Association Agreement
11. 'საქართველოს მთავრობა: სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით' 2010 წ. <http://scara.gov.ge/ka/2010-03-17-12-49-14/2010-03-17-13-54-43/72-sakhelmtsifo-strategia-okupirebuli-teritoriebis-mimarth.html>
12. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26879>
13. მარგარიტა ახვლედიანი, რა უნდათ დღეს აფხაზებს, 2013, <http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/20953/>
14. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/100169/> 2009, ლიბერალი